

# ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

## თავი I

### ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### მუხლი 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით (ათასი ლარი):

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>13,356.2</b>	<b>14,747.0</b>	<b>6,826.8</b>	<b>7,920.2</b>	<b>7,272.2</b>	<b>7,142.2</b>	<b>130.0</b>
გადასახადები	6,253.5	5,374.5	5,374.5		6,452.2	6,452.2	
გრანტები	6,351.3	8,720.2	800.0	7,920.2	130.0		130.0
სხვა შემოსავლები	751.4	652.3	652.3		690.0	690.0	
<b>II. ხარჯები</b>	<b>6,603.2</b>	<b>7,158.4</b>	<b>6,861.1</b>	<b>297.3</b>	<b>7,393.7</b>	<b>7,263.7</b>	<b>130.0</b>
შრომის ანაზღაურება	1,571.9	1,659.0	1,590.0	69.0	1,899.0	1,830.0	69.0
საქონელი და მომსახურება	1,026.7	992.1	917.4	74.7	851.1	841.1	10.0
პროცენტი	27.9	31.8	31.8		44.3	44.3	
სუბსიდიები	3,089.8	3,627.7	3,578.2	49.5	3,837.0	3,788.0	49.0
გრანტები	4.8	18.1	18.1		11.2	11.2	
სოციალური უზრუნველყოფა	458.0	531.3	526.0	5.3	506.9	504.9	2.0
სხვა ხარჯები	424.1	298.4	199.6	98.8	244.2	244.2	
<b>III საოპერაციო სალდო</b>	<b>6,753.0</b>	<b>7,588.6</b>	<b>-34.3</b>	<b>7,622.9</b>	<b>-121.5</b>	<b>-121.5</b>	<b>0.0</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>7,273.8</b>	<b>8,597.7</b>	<b>356.7</b>	<b>8,241.0</b>	<b>222.8</b>	<b>222.8</b>	<b>0.0</b>
ზრდა	7,433.1	9,199.7	958.7	8,241.0	702.8	702.8	
კლება	159.3	602.0	602.0	0.0	480.0	480.0	
<b>V მთლიანი სალდო</b>	<b>-520.8</b>	<b>-1,009.1</b>	<b>-391.0</b>	<b>-618.1</b>	<b>-344.3</b>	<b>-344.3</b>	<b>0.0</b>
<b>VI ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-548.6</b>	<b>-1,064.8</b>	<b>-446.8</b>	<b>-618.1</b>	<b>-400.0</b>	<b>-400.0</b>	<b>0.0</b>
ზრდა	365.0	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	913.6	1,064.9	446.8	618.1	400.0	400.0	
		0.0					
<b>VII .ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-27.8</b>	<b>-55.7</b>	<b>-55.7</b>	<b>0.0</b>	<b>-55.7</b>	<b>-55.7</b>	<b>0.0</b>

ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	27.8	55.7	55.7	0.0	55.7	55.7	
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

**მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (ათასი ლარი)**

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსულობები</b>	<b>13515.5</b>	<b>15349.0</b>	<b>7428.8</b>	<b>7920.2</b>	<b>7752.2</b>	<b>7622.2</b>	<b>130.0</b>
შემოსავლები	13356.2	14747.0	6826.8	7920.2	7272.2	7142.2	130.0
არაფინანსური აქტივების კლება	159.3	602.0	602.0	0.0	480.0	480.0	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
<b>გადასახდელები</b>	<b>14064.1</b>	<b>16413.7</b>	<b>7875.5</b>	<b>8538.2</b>	<b>8152.2</b>	<b>8022.2</b>	<b>130.0</b>
ხარჯები	6603.2	7158.3	6861.1	297.2	7393.7	7263.7	130.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	7433.1	9199.7	958.7	8241.0	702.8	702.8	
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების კლება	27.8	55.7	55.7	0.0	55.7	55.7	
ნაშთის ცვლილება	-548.6	-1064.7	-446.7	-618.0	-400.0	-400.0	0.0

**თავი II**

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

**მუხლი 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7272.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსავლები</b>	<b>13356.2</b>	<b>14747.0</b>	<b>6826.8</b>	<b>7920.2</b>	<b>7272.2</b>	<b>7142.2</b>	<b>130.0</b>
გადასახადები	6253.5	5374.5	5374.5	0.0	6452.2	6452.2	
გრანტები	6351.3	8720.2	800.0	7920.2	130.0		130.0
სხვა შემოსავლები	751.4	652.3	652.3	0.0	690.0	690.0	

**მუხლი 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 6452.2 ათასი ლარის ოდენობით.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი
<b>1.1</b>	<b>გადასახადები</b>	<b>6253.4</b>	<b>5374.5</b>	<b>6452.2</b>
<b>1.1.3</b>	<b>გადასახადი ქონებაზე</b>	<b>878.2</b>	<b>450.0</b>	<b>750.0</b>
<b>1.1.3.1.1</b>	<b>ქონების გადასახადი</b>	<b>878.2</b>	<b>450.0</b>	<b>750.0</b>
	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	643.7	302.7	550.0
	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5.3	0.3	0.0
	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწაზე ქონების გადასახადი	100.8	92.0	100.0
	<i>ფიზიკური პირებიდან</i>	<i>78.0</i>	<i>70.0</i>	<i>70.0</i>
	<i>იურიდიული პირებიდან</i>	<i>22.9</i>	<i>22.0</i>	<i>30.0</i>
	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	128.4	55.0	100.0
	<i>ფიზიკური პირებიდან</i>	<i>22.0</i>	<i>15.0</i>	<i>30.0</i>
	<i>იურიდიული პირებიდან</i>	<i>106.3</i>	<i>40.0</i>	<i>70.0</i>
<b>1.1.4</b>	<b>გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ)</b>	<b>5375.2</b>	<b>4924.5</b>	<b>5702.2</b>

**მუხლი 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 130.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი
<b>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>6351.4</b>	<b>8720.2</b>	<b>130.0</b>
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	251.8	991.5	130.0
მიზნობრივი ტრანსფერი	251.8	191.5	130.0
სპეციალური ტრანსფერი	0.0	800.0	
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>4793.3</b>	<b>6758.7</b>	<b>0.0</b>
რგპვ გამოყოფილი თანხები	4037.3	5628.7	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	346.0	346.0	0.0
საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით	410.0	784.0	0.0
<b>სხვა პროექტები და ფონდები</b>	<b>1306.3</b>	<b>970.0</b>	<b>0.0</b>

## მუხლი 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 690.0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი
1.4	<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>751.4</b>	<b>652.3</b>	<b>690.0</b>
1.4.1	შემოსავლები საკუთრებიდან	492.4	471.0	485.0
1.4.1.1	<b>პროცენტები</b>	<b>37.7</b>	<b>30.0</b>	<b>35.0</b>
1.4.1.5	<b>რენტა</b>	<b>454.8</b>	<b>441.0</b>	<b>450.0</b>

1.4.1.5.1	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის	446.7	434.0	440.0
1.4.1.5.4	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	8.1	7.0	10.0
<b>1.4.2</b>	<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>137.5</b>	<b>132.0</b>	<b>160.0</b>
<b>1.4.2.2</b>	<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები</b>	<b>109.6</b>	<b>107.0</b>	<b>130.0</b>
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	5.8	7.0	10.0
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.0	0.0
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.1	0.0	0.0
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	103.5	100.0	120.0
<b>1.4.2.3</b>	<b>არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები</b>	<b>27.9</b>	<b>25.0</b>	<b>30.0</b>
1.4.2.3.2	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	27.9	25.0	30.0
<b>1.4.3</b>	<b>სანქციები, ჯარიმები, საურავები</b>	<b>28.8</b>	<b>40.0</b>	<b>40.0</b>
<b>1.4.4</b>	<b>ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>92.6</b>	<b>9.3</b>	<b>5.0</b>

### თავი III

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი

ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7393.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>ხარჯები</b>	<b>6,603.2</b>	<b>7,158.4</b>	<b>6,861.1</b>	<b>297.3</b>	<b>7,393.7</b>	<b>7,263.7</b>	<b>130.0</b>
შრომის ანაზღაურება	1,571.9	1,659.0	1,590.0	69.0	1,899.0	1,830.0	69.0
საქონელი და მომსახურება	1,026.7	992.1	917.4	74.7	851.1	841.1	10.0
პროცენტები	27.9	31.8	31.8	0.0	44.3	44.3	

სუბსიდიები	3,089.8	3,627.7	3,578.2	49.5	3,837.0	3,788.0	49.0
გრანტები	4.8	18.1	18.1	0.0	11.2	11.2	
სოციალური უზრუნველყოფა	458.0	531.3	526.0	5.3	506.9	504.9	2.0
სხვა ხარჯები	424.1	298.4	199.6	98.8	244.2	244.2	

**მუხლი 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 222.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 702.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროგნოზი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	157.8	57.1	57.1		40.0	40.0	
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,936.4	8,279.0	899.3	7,379.7	601.8	601.8	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	8.0	8.0	
04 00	განათლება	333.5	861.3		861.3	9.0	9.0	
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4.4	2.2	2.2		44.0	44.0	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.0	0.0	0.0	0.0	0.0		
	<b>სულ ჯამი</b>	<b>7,433.1</b>	<b>9,199.6</b>	<b>958.6</b>	<b>8,241.0</b>	<b>702.8</b>	<b>702.8</b>	<b>0.0</b>

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 480.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	159.3	602.0	480.0

ძირითადი აქტივები	102.6	447.6	300.0
არაწარმოებული აქტივები	56.7	154.4	180.0
მიწა	56.7	154.4	180.0

**მუხლი 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>2,514.2</b>	<b>2,648.4</b>	<b>2,738.7</b>
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,514.2	2,530.9	2,636.3
7.1.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,486.1	2,490.9	2,596.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	28.1	40.0	40.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	117.5	134.2
7.2	<b>თავდაცვა</b>	<b>80.3</b>	<b>80.0</b>	<b>85.0</b>
7.4	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>6,523.7</b>	<b>8,188.1</b>	<b>541.8</b>
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	-	-	-
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	-	-	-
7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	666.7	1,552.0	120.0
7.4.4.3	მშენებლობა	666.7	1,552.2	120.0
7.4.5	ტრანსპორტი	5,146.2	5,875.3	150.0
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,146.2	5,875.3	150.0
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	-	-	-
7.4.7.3	ტურიზმი	-	-	-
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	710.7	760.6	271.8
7.5	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>1,423.2</b>	<b>1,238.5</b>	<b>1,205.0</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამამუშავება და განადგურება	0.0	1,196.1	1,200.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	478.5	37.5	-
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინაარმდეგ ბრძოლა	-	-	-
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვა	-	-	5.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	944.6	-	-
7.6	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>180.5</b>	<b>329.7</b>	<b>280.0</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	-	115.1	30.0
7.6.3	წყალმომარაგება	-	8.0	20.0
7.6.4	გარე განათება	175.7	206.6	230.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	4.8	-	-
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>48.5</b>	<b>86.0</b>	<b>76.0</b>
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	48.5	86.0	76.0

7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>1003.0</b>	<b>1,097.0</b>	<b>1,127.0</b>
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	293.4	332.0	380.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	646.0	685.0	757.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	63.6	80.0	90.0
7.9	<b>განათლება</b>	<b>1,597.3</b>	<b>2,198.9</b>	<b>1,455.0</b>
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1,144.1	926.0	1,455.0
7.9.2	ზოგადი განათლება	453.2	-	-
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	453.2	926.0	-
7.10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>665.6</b>	<b>542.1</b>	<b>511.9</b>
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	236.5	219.9	211.0
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	208.8	172.9	166.0
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა	27.7	47.0	45.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	22.5	22.5
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	5.4	8.0	11.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	34.7	44.5	45.0
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	74.9	45.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	44.7	-	-
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	344.2	172.4	177.4
	<b>სულ</b>	<b>14,036.3</b>	<b>16,413.7</b>	<b>8,152.2</b>

#### თავი IV

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

#### მუხლი 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო -121.5 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -344.3 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი
საოპერაციო სალდო	6,758.4	7,588.6	-121.5
მთლიანი სალდო	-515.4	-1,009.1	-344.3

#### მუხლი 11. - ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -400.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-548.6</b>	<b>-1,064.8</b>	<b>-400.0</b>
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტები და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0



კლება	548.6	1,064.8	400.0
ვალუტა და დეპოზიტები	548.6	1,064.8	400.0

## მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 55.7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-27.8	-55.7	-55.7
ზრდა	0.0	0.0	0.0
კლება	27.8	55.7.0	55.7

2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის ვალის მოცულობა 100.0 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი		საპროგნოზო ვალი
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	100.0
	პროცენტი	44.3
	ძირი	55.7

## მუხლი 13. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელის დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 40 ათასი ლარის ოდენობით.

### თავი V

## ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2021-2024 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

### მუხლი 14. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
3. დასუფთავება და გარემოს დაცვა;
4. განათლება;
5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

### მუხლი 15. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 2,855.5 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>2,855.5</b>
<b>01 01</b>	<b>საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	<b>2,651.3</b>
01 01 01	ბაღდათის საკრებულო	657.1
01 01 02	ბაღდათის მერია	1,909.2
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის უზრუნველყოფა	85.0
<b>01 02</b>	<b>საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>194.2</b>
01 02 01	სარეზერვო ფონდი	40.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	34.2
01 02 03	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონით გათვალისწინებული თანხების ჩამოჭრა	0.0
01 02 04	სესხის მომსახურება და დაფარვა(მ.გ.ფ)	100.0
01 02 05	თანამშრომელთა პროფესიული სწავლების ხარჯი	20.0
<b>01 03</b>	<b>სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>0.0</b>
01 03 01	სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა	0.0
01 03 02	ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა	0.0
<b>01 04</b>	<b>საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივი პროგრამა</b>	<b>10.0</b>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სესხის მომსახურება და დაფარვა (მგფ)	დაფინანსება (ათასი ლარი)
	01 02 04		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტს „მუნიციპალური განვითარების ფონდის“-გან აღებული სესხით შეძენილი აქვს თანამედროვე ნაგავმზიდები და ნაგვის ურნები. აღნიშნული სესხის ჯამური მოცულობა შეადგენს 584 139 ლარს. გადახდა დაიწყო 2018 წელს და უნდა დასრულდეს 2026 წელს. წლის განმავლობაში თანხის გადახდა ხორციელდება ორ ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება, რომლის საპროგნოზო მოცულობა 2020 წლისთვის 100.0 ათასი ლარია		

მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 821.8 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>821.8</b>
<b>02 01</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა</b>	<b>150.0</b>
02 01 01	ტროტუარების მოწყობა მოვლა პატრონობა	0.0
02 01 02	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია	150.0
<b>02 02</b>	<b>წყლის სისტემების განვითარება</b>	<b>20.0</b>
02 02 01	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	0.0
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	20.0
<b>02 03</b>	<b>გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>230.0</b>
<b>02 04</b>	<b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	<b>41.8</b>
02 04 01	მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	30.0
02 04 02	საკადასტრო რუქის დამზადება	10.0
02 04 03	შადრევნების ექსპლოატაცია	1.8
<b>02 05</b>	<b>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები</b>	<b>0.0</b>
<b>02 06</b>	<b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა</b>	<b>60.0</b>
<b>02 07</b>	<b>მშენებლობა-რეაბილიტაცია</b>	<b>120.0</b>
02 07 01	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა,რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	120.0
02 07 02	საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, მოწყობა,რეაბილიტაცია	0.0
<b>02 08</b>	<b>მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა</b>	<b>0.0</b>
<b>02 09</b>	<b>საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა</b>	<b>200.0</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 01		150.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე ობაჩში ე.წ ჭყეპნარას უბნის ს/გზის და ე.წ საბუკიას უბნის ს/გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება. პროექტების		

	ძირითადი ნაწილი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები რომელმაც 2020 წელს 5628.7 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წლის პროგნოზი 6000.0 ათასი ლარია
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზერუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 01 02		150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. საბიუჯეტო სახსრებით დაგეგმილია მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები რომელმაც 2020 წელს 5628.7 ათასი ლარი შეადგინა, 2021 წლის პროგნოზი 6000.0 ათასი ლარია		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზერუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყლის სისტემების განვითარება</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 02		20.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანიაღვრე არხების და წყლის სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მოიცავს როგორც არსებული სისტემის მოვლასა და რეაბილიტაციას ასევე ქსელის გაფართოებას, დაზიანებული ქსელის ნაწილის რეკონსტრუქციას, არსებული წყლის რეზერვუარების დაქლორვას		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, სადრენაჟე ქსელის მოწესრიგება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 02 02		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ა. (ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული წყლის სისტემის რეაზერვუარების დაქლორვა, სოფლებში შიდასაუბნო წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია დაქლორვითი სამუშაოების შედეგად სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება და წყლით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 03		230.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა. (ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები და შიდა გზები და უზრუნველყოს ქსელის გამართლი ფუნქციონირება ნებისმიერ კლიმატურ პირობებში		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04		41.8
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ეკონომიკის სამსახური, ა. (ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებში იგულისხმება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, არსებული შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.		

პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მოწესრიგდეს ქალაქის იერსახე, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04 01		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება იგეგმება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები და ფასადები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საკადასტრო რუქის დამზადება</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04 02		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>შადრევნების ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04 03		1.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შადრევნების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა		



--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 06		60.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობა-ნაგებობების, ნაპირსამაგრი ჯებირების და საყრდენი კედლების, შიდასაუბნო და შიდასასოფლო გზების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად კანონმდებლობით მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>მშენებლობა-რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 07		120.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია, როგორებიცაა: არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, საყრდენი კედლები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება/რემონტი და სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 07 01		120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების ,სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 09		200.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტენდერით გამოვლენილი კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ინსპექტირება-ექსპერტიზა.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხიანი სამუშაოების მიღების უზრუნველყოფა		

### მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1205.0 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>1,205.0</b>
<b>03 01</b>	<b>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</b>	<b>1,200.0</b>
03 01 01	ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება	1,200.0
<b>03 02</b>	<b>ქალაქის გამწვანება</b>	<b>5.0</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	03 01		1,200.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაცვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება, დამატებითი ურნებისა დადგმა		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამა ემსახურება ტერიტორიის დასუფთავებას, ქალაქში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთას და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას		



პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ქალაქის გამწვანება</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	03 02		5.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა	ქალაქის იერსახის მოწესრიგებისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის ფარგლებში განხორციელდება არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბეღვა		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების მიზანს და შედეგს წარმოადგენს ქალაქის იერსახი შენარჩუნება-გაუმჯობესება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწესრიგება		

### მუხლი 18. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1455.0 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>1,455.0</b>
<b>04 01</b>	<b>სკოლამდელი აღზრდა</b>	<b>1,455.0</b>
04 01 01	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება	1,455.0
<b>04 02</b>	<b>სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამა</b>	<b>0.0</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სკოლამდელი აღზრდა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	04 01		1,455.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“, ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის სფეროში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დანერგვასა, აღსაზრდელების კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარება.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო გარემოს შექმნა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.		

### მუხლი 19. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1227.0 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>1,227.0</b>
<b>05 01</b>	<b>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>380.0</b>
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	20.0
05 01 02	ა(ა)იპ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი	357.0
05 01 03	ა.(ა).ი.პ საფეხბურთო კლუბი საირმე	0.0
05 01 04	ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა	3.0
<b>05 02</b>	<b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>757.0</b>
05 02 01	ა(ა)იპ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი	737.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	20.0
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება</b>	<b>20.0</b>
<b>05 04</b>	<b>ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა</b>	<b>70.0</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 01		380.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური და ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება; საწვრთნელი პროცესის ორგანიზება; სახელობითი ტურნირების ჩატარება; შშმ პირებისათვის შესაბამისი სპორტული ინვენტარის შეძენა და შესაბამისი გარემოს შექმნა, ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაზირებული სპორტის 9 სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, თავ. ჭიდაობა, ბერძნულ რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კუნგ-ფუ სანდა, კრივი, ბოჩა;) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქალთა სპორტის ხელშეწყობა, ფიტნეს სექტორის განვითარება,		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, სპორტული სკოლის გამართული ფუნქციონირება, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით მონაწილეობა,		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტული ღონისძიებების დაფინანსება</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 01 01		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 01 04		3.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ახალია და პირველად განხორციელდება 2020 წელს. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ა. (ა). ი. პ „საჭადრაკო კლუბი ბაღდათის“ დაფინანსება სუბსიდირების გზით. ა. (ა). ი. პ არ არის მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობას. პირველ ეტაპზე გაცემული სუბსიდია მოხმარდება საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 02		757.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური და ა. (ა). ი. პ „ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამალებას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მიმზიდველი და საინტერესო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შექმნას, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას და ინფორმაციას, რაც		

	<p>ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის განვითარებას.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და პოპულარიზაციის მიზნით ფუნქციონირებს ა.(ა).ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი, რომელშიც თავის მხრივ გაერთიანებულია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. რევაზ ლადიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები.</li> <li>2. ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა.</li> <li>3. ვ.ვ. მაიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.</li> </ol>
<p>პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობა, მიმზიდველი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შექმნა, კულტურის დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირება.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 02 02		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, ფესტივალებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებას. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე შემოქმედებითი ჯგუფების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ყვავილების თაიგულების შექმნას საერო, საეკლესიო და კულტურული ღონისძიებების აღსანიშნავად.</p>		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა მათი მოტივაციის გაზრდა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 03		20.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს:		

	<p>1) ახალგაზრდული პლატფორმების(საბჭო, ცენტრი, კლუბი) გაძლიერებას და ხელშეწყობას ახალგაზრდული სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით.</p> <p>2) მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში.</p> <p>3) ახალგაზრდების ინფორმირებას მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების შესახებ და მათ კვალიფიციური მხარდაჭერას.</p> <p>4) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასაქმების ფორუმის ორგანიზებას.</p> <p>5) რეკრეაციული, შემეცნებითი და კულტურული ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას. (ლაშქრობები, ექსკურსიები, ინტელექტუალური თამაშები)</p> <p>6) ახალგაზრდებისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომი შეკრების სივრცეებისა და მასში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.</p>
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდული პროგრამების განხორციელება მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, იზიარებენ ურთიერთთანამშრომლობის და ტოლერანტობის პრინციპებს. უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა ახალგაზრდული საქმიანობის კუთხით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 04		70.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა რომელიც ხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ვანი-ბაღდათის ეპარქიას შორის გაფორმებული სუბსიდირების ხელშეკრულების ფარგლებში		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ეკლესიის ფინანსური ხელშეწყობა		

## მუხლი 20. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 587.9 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
06 00	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>587.9</b>
06 01	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>76.0</b>
06 01 01	ა(ა)იპ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	76.0



06 02	სოციალური პროგრამები	511.9
06 02 01	სამედიცინო დახმარების ხარჯები	140.0
06 02 02	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2.0
06 02 03	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები	5.0
06 02 04	უფასო სასადილოს დაფინანსება	50.0
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	30.0
06 02 06	ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯის თანადაფინანსება	10.0
06 02 07	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება	55.0
06 02 08	ვეტერანთა დახმარება	15.0
06 02 09	შშმ პირთა დახმარება	40.0
06 02 10	ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	2.4
06 02 11	დღეგრძელი(100 და მეტ წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	2.5
06 02 12	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	35.0
06 02 13	18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვიანი ოჯახების დახმარება	11.0
06 02 14	მარტოხელა მშობლის დახმარება	3.0
06 02 15	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	12.0
06 02 16	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	3.0
06 02 17	მედიკამენტების დაფინანსება	26.0
06 02 18	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკების და აბილიტაციის პროგრამა	5.0
06 02 19	შინმოვლა	20.0
06 02 20	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	45.0

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01		76.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;</li> <li>2. დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;</li> <li>3. მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;</li> </ol>		

	<p>4. სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;</p> <p>5. ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამებების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;</p> <p>6. მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.</p>
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სამედიცინო დახმარების ხარჯები</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 01		140.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 65 000-მდეა ან წარმოადგენენ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობას, ნაწილობრივ აუნაზღაურდებთ სამედიცინო მომსახურების (კვლევა, ოპერაცია, მკურნალობა, ქიმიოთერაპია) ხარჯები. ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად. პაციენტის დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მერიის „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“. თანხა ჩაირიცხება მომსახურების მომწოდებელი სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ონკოლოგიური პაციენტები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულისა და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის წარმოდგენისაგან.</p>		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება. დაავადებათა გართულების პრევენცია. სამედიცინო მომსახურებაზე ბენეფიციართა ხელმისაწვდომობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები</b>	დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 02		2.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური		
